

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა  
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
არქეოლოგიის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ  
--- ----- 20 წ. № ----- დადგენილებით

და დამტკიცებულია უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)  
მიერ --- ----- 20 წ. № დადგენილებით

თბილისი

2017

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

- 1.1 არქეოლოგიის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია (შემდგომში „ლაბორატორია“) არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული, არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეული.
- 1.2 ლაბორატორია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისა და მოცემული დებულების საფუძველზე.
- 1.3 ლაბორატორიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავენ და წარმართავენ ფაკულტეტის დეკანატის, არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის და ლაბორატორიის ხელმძღვანელი პირები.

## **მუხლი 2. არქეოლოგიის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის მიზნები და ძირითადი მიმართულებები**

### **ლაბორატორიის მიზნებია:**

- 2.1 საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფა;
- 2.2 ქართული არქეოლოგიური მეცნიერების უახლესი თეორიული და პრაქტიკული კვლევა-ძიების ხელშეწყობა;
- 2.3 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მიღწევების ცოდნით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება.

### **ლაბორატორიის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:**

- 2.4 არქეოლოგიის სფეროში პრაქტიკულ საველე და ლაბორატორიულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე ბაკალავრების მომზადებაში ხელშეწყობა.
- 2.5 არქეოლოგიურ მეცნიერებათა საზოგადოებრივ და ტექნიკურ მეცნიერებათა პროფილის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე სპეციალისტების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადებაში მონაწილეობა
- 2.6 არქეოლოგიური მოძრავი და უძრავი არტეფაქტებისა და სამუზეუმო ექსპონატების კომპლექსური ანალიზი (ტექნიკური ექსპერტიზა).
- 2.7 არქეოლოგიის თეორიისა და ტექნოლოგიის სფეროში სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების განხორციელება.
- 2.8 ფაკულტეტის საჭიროებისათვის არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის პროფილით არსებული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო ბაზის შექმნა.
- 2.9 საველე-არქეოლოგიური მივით მოპოვებული არტეფაქტების საშუალებით საგამოფენო ექსპოზიციის მოწყობა; ექსპოზიციების პერიოდული განახლება; სასწავლო პროცესში, ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღება.
- 2.10 ადგილობრივ და უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან აქტიური სამეცნიერო კონტაქტების დამყარება.

### **მუხლი 3. ლაბორატორიის სტრუქტურა**

- 3.1 ლაბორატორიის საქმიანობა 2 მიმართულებით ხორციელდება: ტექნოლოგიური კვლევები და საგამოფენო საქმიანობა.
- 3.2 ლაბორატორიის პერსონალი:
- 1) ლაბორატორიის ხელმძღვანელი;
  - 2) უფროსი ლაბორანტი;
  - 3) ლაბორანტი.

### **ლაბორატორიის სამეცნიერო „დარბაზი“**

3.3 „დარბაზი“ წარმოადგენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დანიშნულების სათათბიროს, რომელიც არქეოლოგიის სფეროში ლაბორატორიის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას წარმართავს.

3.4 მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, ლაბორატორიის მეცნიერთანამშრომლები საქართველოსა და უცხოეთში არქეოლოგიის სფეროში მიმდინარე ინოვაციური პროცესების შედეგებს განიხილავენ და განახორციელებენ უახლესი სამეცნიერო გამოცემების მომზადებას.

3.5 პერიოდულად, დარბაზი მიიღებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ჯგუფებს, რომელთაც ვიზუალური მასალის ჩვენებით ექსპოზიციის დათვალიერებისას ჩაუტარდებათ მინი-ლექციები; გაიმართება აზრთა ურთიერთგაზიარება.

### **მუხლი 4. არქეოლოგიის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი**

5.1 ლაბორატორიის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილების მქონე პირი.

5.2 ლაბორატორიის ხელმძღვანელს თანამდებობაზე, 4 წლის ვადით - არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის წარდგინებით, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო ნიშნავს.

5.3 ლაბორატორიის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი:

- ლაბორატორიის ხელმძღვანელი ლაბორატორიის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს დებულების მოთხოვნათა შესაბამისად;
- ლაბორატორიის კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს ხელმძღვანელი დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს;

- ხელმძღვანელობს და ხელს უწყობს საქართველოსა და უცხოეთის შესაბამისი პროფილის კვლევით დაწესებულებებთან ლაბორატორიის საქმიან ურთიერთობებს ;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, ლაბორატორიის სამტატო განრიგს.
- ხელმძღვანელობს ლაბორატორიის პერსონალს;

**მუხლი 6. არქეოლოგიის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის საქმიანობის შეწყვეტა**

- 6.1 ლაბორატორიის საქმიანობის შეწყვეტის უფლებამოსილება გააჩნია ფაკულტეტის საბჭოს;
- 6.2 ლაბორატორიის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ქონება რჩება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში.